



**ფსიქოლოგი**  
ნახ. ნალარიაშვილის

„ამერიკიდან საბჭოთა კავშირში დაბრუნდა  
ამხ. ლიტვინოვი“. ბურჟუაზიული პრესა  
აღნიშნავს საბჭოთა კავშირის დიპლომატი-  
ის მორიგ დიდ გამარჯვებებს“  
ვახუციანი

— ჩვენ ხელს დიდათ მოვითხოვ-  
დით, რომ მოგვემარებია ამ ხელბა-  
რის აცოცება, შოგ ბევრი გააძი  
არის!

# დაკაკ-დაკაკ

„გერმანიის კაიზერის გენერალი ფონ-კრეტი გამოაცხადდა მეფისაგან ორდენებს მენშე-  
ვიუსი მთავრობის წევრების დასაჯილდო-ვებლად“.

გაზეთებთან

მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელები მხოლოდ საქართველოს მიწა-წყალზე არ ურჩევენ გლეხებს კოლექტივში შესვლას, თვარა მათ ჯერ კიდევ ოცდაერთ წელში დაარსეს საფრანგეთის სოფ. ლევილიეში თავიანთი კოლმეურნეობა, რომელშიაც საკუთარის უქონლობის გამო გააერთიანეს საქართველოდან წაღებული საზოგადო ქონება თამარ-მეფის ქონებითურთ.

ერთ საღამოს ამ კოლმეურნეობის საერთო საცხოვრებელ ბინაში, კერასთან ისხდნენ მენშევიკური პარტიის და მთავრობის რამდენიმე ხელმძღვანელი და მოუთმენლად ელოდნენ ცეცხლზე მიმდგარ ქთანში ლობიოს მოხარშვას და კეცზე დაკრული მჭადის გამოცხობას.

გურიიდან წაღებულ ქონა ლობიოს და სიმინდს საფრანგეთის წიადგზე ჯიში ეცვალათ. ლობიოს მოხარშვას დიდი დრო უნდებოდა. მჭადიც ცუდად ცხვებოდა და ორთავენი უგემური იყვნენ საქართველოსთან შედარებით.

იქვე ბნელ კუთხეში შეუმჩნეველად ჩაცუცქულიყვნენ კ. ჩხეიძის და ნ. რამიშვილის სულები, რომლებიც კათოლიკეთა სამოთხეში არ მიეღოთ და საქართველოს სამოთხეში შესვლას კი პარტიული დისციპლინა და შორი მანძილი უშლიდათ, ამიტომ დაჩინილიყვნენ საიქიოს გარეშე.

ლობიოს მოხარშვისა და მჭადის გამოცხობის მოლოდინში დროს მოსაკლავად ლაპარაკი ჩამოვარდა აქითურ იქითურზე და ბოლოს შეჩერდნენ საბჭოთა გაზეთებში გამოქვეყნებულ ახალ ამბავზე, იმის შესახებ, თუ გერმანიის იმპერატორ ვილჰელმის გენერალი ფონ-კრეტი როგორ იღწვოდა მათი ორდენებით დაჯილდოებისათვის.

მუსაიფმა ჩქარა ცხოველი ხასიათი მიიღო იმის გარშემო, თუ ვინ რა ხარისხის ორდენით იქნებოდა

დაჯილდოებული, რომ ვილჰელმს დასცლოდა კიდევ ცოტა ხანს ტახტზე ჯდომა.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარე ნოე ყორღანიას ეჭვი არ შესდიოდა იმაში, რომ ის დაჯილდოებული იქნებოდა „წითელი არწივის“ პირველი ხარისხის ორდენით. აკაკი ჩხენკელიც კმაყოფილებას გამოსთქვამდა იმით, თუ ის მიიღებდა ამავე სახელწოდების მეორე ხარისხის ორდენს, მარამისი თანაშემწე კ. გვარჯალაძე გამოსთქვამდა გულისწყრომას იმის გამო, რომ ის სრულებით გამოტოვებული იყო ორდენით დასაჯილდოებულთა სიიდან, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ღვაწლი მიუძღოდა გერმანელთა ჯარისთვის ტფილისში ყაზარმების მომზადების საქმეში.

მეგანი გეგმკორის აღშფოთებასაც არ ჰქონდა სასლგარი, რადგან ის იყო—ერთი იმათაგანი, რომელიც ბოლშევიკებს ერთ წერტილში ურტყამდა თეთრგვარდიელებთან ერთად, მარა ეს მისი დამსახურება ასე უყურადღებოდ იქნა დატოვებული გერმანელი გენერალის მიერ. თუ ვისმეს ერგებოდა ორდენი „Pour le merite“ („დამსახურებისათვის“) პირველად ეს მას უნდა რგებოდა!

ამ დროს შემთხვევით იქ დამსწრენი, მენშევიკების კოლმეურნეობის არა წევრები: უურული, ვაჩნაძე და კეღაც დიდ უკმაყოფილებას აცხადებდნენ იმის გამო, რომ ისინი, მიუხედავად მათი წარჩინებული წარმოშობისა ორდენით და დაჯილდოებულთა მეოთხე და მეხუთე ჯგუფში იყვნენ მოქცეული, რომლებსაც „რკინის ჯვარზე“ უფრო დიდი ხარისხის ორდენი არ შეხვედებოდათ. ისინი თავგამოდებით ამტკიცებდნენ, რომ მენშევიკებმა თავდა-აზნაურებს და შემამულეებს მასტაცეს პროგრამა და მოქმედ-

ბის ტაქტიკა, რისთვისაც ეძლეოდათ უმაღლესი ხარისხის ორდენები გერმანიის კაიზერისაგან როდესაც ნამდვილ თავდა-აზნაურობის და შემამულეების წარმომადგენლებს აჩრიდნენ უფრო მდარე ღირსებისას.

არც კ. ჩხეიძის და ნ. რამიშვილის სულები იყვნენ კმაყოფილი, რადგან მათ თავის შეწირვა მოუხდათ მათი ნამოქმედარისათვის და მათზე უფრო დიდი ხარისხის ორდენს კი ღებულობდა ცოცხლად და რბენილი ნ. ყორღანია. მაგრამ ესენი ლჩინარი სულები იყვნენ და არ შეეძლოთ თავიანთი უკმაყოფილების ხმამალლა გამოთქმა.

მაგრამ კამათმა უამათოდაც მეტად მკაცრი ხასიათი მიიღო. საყვედურები ქაღილზე გადავიდა, ქაღილი—შეტევაზე. თავად ვაჩნაძეს სატევადა წილზე აღმოაჩნდა, რომელიც დიდი ხანია არ ყოფილა ჩვეულგბრივ ხმარებაში და ამაზე უკეთეს შემთხვევასაც ვერ ეღიბებოდა უცხო ქვეყანაში მის სახმარებლად.

აკაკი წერეთლის შემაროგებელმა პოლიტიკამ ვერავითარი გავლენა ვეღარ აქონია მოხმურებზე და შეიქნა ერთი დაკა-დაკა.

საქნე იმაზე ბევრად უფრო მწვავე ხასიათს მიიღებდა, რომელსაც აღვილი ქონდა საქ. დამფუძნებელი კრების ერთ სხდომაზე ბ. ჩხიკვიშვილსა და შ. ნუცუბიძის შორის, მარა მოხმურანი უცებ გააზავებოდა მოულოდნელმა და ყველასათვის ერთნაირად საზარალო შემთხვევამ: ვილცამ ფები წაპკრა ცეცხლზე მიმდგარ ლობიოს ქონანს, მეორემ კი ჯერ გამოუმცხვარ მჭადის კეცზე საჯდომი ჯორკო დაანარცხა. ლობიო დაიღვარა, მჭადში ნაცარი აიზილა და მოხმურანი დაჩინ ისე უვახშვოდ, როგორც უორდენად!

# ლეიპციგის პროცესზე

ნახ. თოძის



— მიშველეთ, ამხანაგი მკლავს.  
— რა გაღრიალებს, შე ოხერიო. კი არა გკლავ, სასამართლოში მიმყავხარ მოწმედ.

## ზარკალი და პარკამი

„ჩემზე მინისტრებმა კაოგ, შთაბეჭდილება მოახდინეს... სინამდვილეში ეს ბატონები უკვე დიდხანია აღარ არიან სოციალ-დემოკრატებში. სასურველი იქნებოდა გვეჩუქებია საქართველოს ხელმძღვანელ პარტიის თვის გერმანიის ორდენები“.  
(გენერალ ფონ-კრესის მოხსენებადან).

აქსიომა არის ეს და არც ჩვენ გვიჩანს დიღემად რომ საღია აქ ფონკრესის აზრი, შთაბეჭდილება მიტომ მეფის გენერალს არ შემცდარა ძალიან („ვაი“ რომ დღეს ექსკავიზერს მისთვის აღარ სტლია) არ შემცდარა, რომ გასწირა ორდენების სერია, მაგრამ მე აქ ერთ საქმეზე დიშლი მომერია.—  
ცხადია და ყველამ ვიცით როგორც ორჯერ ცხადია—

მინისტრების ანგარიში მათგურაო სწორია:—  
სოციალიზმს იშორებდენ მუშებს გაღმა სკოვებდენ და სანაცვლოდ კაიზერის ჩინ-ორდენებს ჰპოიბდენ.  
ეს ცხადია... მაგრამ მაინც სასაცილო ის არი, რომ არ სკვდება განწირულ კაცს მუხთალ „ზედის“ ისარი. პირქულს ღამეთ შეეცვალათ განწირულებს დღესია,

ვერც კაიზრის ჯილდო ნახეს,— ვერც კერზონის პრემია „თხა ვეყიდე თხა ვაგყიდე“ ხალხს რომ უთქვამს თავიდან, მათი საქმეც იმ ანდაზის, ნაკვალევზე წავიდა; ;  
არ დახოგეს მინისტრებმა, თვის მხრივ მსხვერპლს ვადება, მაგრამ მაიხც ვერ მოასწრეს ორდენების აღება,—  
მე, ორუბლა მალლა ზეცა ზეცამ შავად მოწვიმა,— იზარალეს მინისტრებმა, იზარალა ტორუსინმა. მ—ზა

# ლია წერილი

„სოიუზაჰაბს“ და მის  
მუშაკებს

ამხანაგებო!

ამ წერილს ჩემი თანამშრომლის ხელით გიგზავნი, თორემ ფოსტით, ანდა თქვენი თანამშრომლის ხელით რომ გამომეგზავნა, ხნ ვერ მიიღებდით, ანდა ძალიან დაგვიანებით. უკაცრავად ვარ ამის თქმისათვის, მაგრამ, გამოწერილი ჟურნალ - გაზეთების მიღების მწარე პრაქტიკამ გამოიწვია თქვენზე ჩემი ასეთი მტეხედულება.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ. თქვენთან დიდი საქმე მაქვს.

თქვენ ალბათ გაიგებდით, რომ 1934 წ. თებერვლიდან ჩემი ჟურ. „ნიანგი“ გამოვა **დეკალურ** გამოცემით, თვეში 3 ნომერი, წელიწადში—36 ნომერი.

რას ამბობ! სამი ნომრისთვის ეს არა, ორი ნომრისთვის ვერ მოგვივლია და ვერ გაგვიხალბობა! — ალბად თქვენ შეუხტებით, მაგრამ დანშვიდდით, ამხანაგებო!

საქმეც ეს არის, რომ დღემდე თქვენ „ნიანგს“ (და სხვა ჟურნალ გაზეთებსაც) ვერ (თუ არ) ავრცელებდით როგორც ეს საქირო იყო და როგორც მოთხოვნილება არის.

უნდა გამოგიტყდეთ (და ნუ გეწყინებათ), რომ სანამ თქვენ ხელში ჩავარდებოდა ჩემი ჟურნალის გავრცელების საქმე, ტირაჟი სამჯერ მეტი მქონდა, ვიდრე ახლა მაქვს. (მაგ. 1930 წელში ჩემი ტირაჟი 30.000-ს აღწევდა).

საბჭოთა ქვეყანა დღითიდღე იზრდება. გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ მასების კულტურული მოთხოვნილება. აღარ არის ჩვენში წერა - კითხვის უცოდინარი, ყველა წიგნს კითხულობს. მაგრამ...

მაგარი ის არის, რომ ასეთ დროს ჩვენი ჟურნალ - გაზეთების ტირაჟი შენს ხელში დაეცა.

სოფელს სწყურია წიგნი, ჟურნალ - გაზეთი. ელექტრონით გავანათეთ მთელი ქვეყანა. მოგვა-

# ჭიჭი და ჭაჭუ

(დასასრული იხ. „ნიანგი“ № 20,27 და 22)

**ჭიჭი (თავის ოთახში. დაღვრემილი)**

კარზე მომადგა უბედურება და გადარჩენის იმედი არ მაქვს. დიდა ჩემი დღეს გაჭირვება, თვალს ცრემლით ვივსებ და სევდა დამაქვს... მოულოდნელად დაიწყო წმენდა და ჩემს პარტიბილეთს ვინ ჩივის განა, თუ არ მიტირეს საწყალი დედა და წმენდამ თუ არ გადამიტანა... გამიღიმებდა დღეს თუ ხვალ ბედი და ჭაჭუს გულში ჩავეკვრებოდი... ახლა კი შავი დღე გამოთენდა... ოხ, ჭაჭუ შენთვის როგორ ვდნებოდი! აი წინ მიდგას სურათი წმენდის: მეკითხებიან: ვინ ვიყავ წინად? პასუხს ვერ ვაძლევ, სიმწრის ოფლი მდის, ვხედავ—უფსკრულის წავდექი პირად. ოხ, თავო ჩემო, ბედი არ გწყალობს. ღმერთო, სადა ხარ, რომ დამეხმარო! სული ფართხალებს, გული კი წვალობს, მითხარით აწი რამ გამახაროს?

**ჭაჭუ (თავის ოთახში. მოვსმის კარზე კაკუნნი)**

— ვინა ხარ? ჭიჭი? მითხარ რა გნებავს?

**ჭიჭი (მოისმის ხმა):**

— მე ვარ ჭიჭუნა. გამიღე კარი.

**ჭაჭუ:** — „იზინიაიუს“, ახლა დრო არ მაქვს.

**ჭიჭი:** — რა ვქნა ჭაჭუნა, რა ვქნა მითხარი?

**ჭაჭუ:** — რა ქნა? მიიღე ჩემგან უარი.

**ჭიჭი:** — რაო? პირობა? ჭაჭუ რას ამბობ!

**ჭაჭუ:** — იმას, რაც გესმის. პირობას ვუარობ.

**ჭიჭი:** — მაშ, არ წამყვები? ბარემ თქვი რაღა!

**ჭაჭუ:** — ვთქვი და ეს არის. არა და არა.

მე არ წამყვობი ყოფილ პარტიულს.

**ჭიჭი:** — მაშ უღალატე, შენ ჩემს სიყვარულს?

**ჭაჭუ:** — ჰო, დიახ, დიახ, ეხლა ნახვამდის!

**ჭიჭი:** — ჭაჭუ, ა, ჭაჭუ, არ გესმის, ჭაჭუ?

ს. ე—ლი.

წოდეთ ლიტერატურა, რომ ამ ელექტრონის სხივებზე ვიკითხოთ წიგნო! — თხოულობენ კოლმეურნეები, მუშები, ქალები, ახალგაზრდები.

თქვენ კი, მეგობრებო, სდფელს ვერ მიუტანეთ ჟურნალ-გაზეთი, ვერც მუშას აწვდით ქალაქში ხეირიანად. ჩემი თვალთ რომ არ მენახა ეს მდგომარეობა ძნელი იყო სხვისთვის დაჯერება.

მაგრამ რაც იყო, იყო. დავანებოთ თავი.

ძველი ხელმძღვანელობა დაიფერთხა.

უნდა გამოასწოროთ გარდევული ფრონტი.

უკან უნდა დაიბრუნოთ დაკარგული მკითხველები. ამაში ჩიჩხ დაგეხმარებით.

1934 წელში თქვენ უნდა მომცეთ „ნიანგს“ 25.000 ხელის მომწერი. ეს არის ჩვენი მინიმუმი. ამას თუ გადააჭარბებთ, თქვენი კაი ბიჭობა იქნება. კარგ ბიჭებს კი მე ყოველთვის პატივს ვცემ.

მაშ ასე, ამხანაგებო! 25.000! გისურვებთ გამარჯვებას და ამთვის ბოლოს ჩვენთვის საკონტროლო ციფრის ჩაბარებას.

**ამხანაგური სალამით: ნიანგი.**

**მიხი მოადგილეები: ს. თ—ია და ქუშუბარა.**

**დედნთან სწორია: ზმუქი.**

# დაბიანებული ფელტონი

## ანუ ცხენი, გიჟი და ჭკვიანები

— ბუჰ! ბუჰ! ბუჰ!.. ტა. ტა. ტა. ტა. ბუჰ! ბუჰ! ბუჰ!.. იერი-შით! მედგრად ბიჭებო. უმიზნეთ მდინარის მარცხენა ნაპირას... აი იქ. შავი წერტილი... დრედნოუტი... ბუმ... ბუმ! — მტერი არ ცხრება... მსხვერპლი მსხვერპლს მოსდევს... ცხენი დაეცა. მხედარი არ სჩანს... არ შედრკვეთ.. ბარიკადები გაირღვა... რკინის მოაჯირები ზარბაზნების ყუმბარებმა დაღწევეს, მაგრამ იყავით მხნედ... დაშხმარე ძალები მალე მოგვეშველებიან... ცეცხლი!.. გემები დაიძრენ... ცეცხლი გაბმით!... აწვიმეთ ტყვიები!!

ორატორს დორბლი მოსდის, რომელიც მისი შეჭალარავებული წვერებიდან ლაპა-ლუპით იკვირებს მის ფეხქვეშ გაშხლართულ, ჯერ კიდევ გაუცივებელი ცხენის ლეშზე.

თქვენ, მკითხველო, საომარ განწყობილებაზე დადექით. თავი ზღბად წარმოგიდგენიათ გააფთრებულ სამოქალაქო ომში. დენიკინთან, კოლჩაკთან, ვრანგელთან ან სხვა სუკინსინთან ბრძოლაში ხართ. ირგვლივ მტერი გარტყიათ, რომელიც რკალს არღვევს და წინ მოიწევს... ეს „ორატორი“ წითელი მეთაურია, რომელიც ხედავს რომ საქმე ცუდათ არის, მაგრამ გულს არ იტყვის და სხვებს ამხნევებს... თქვენში განსაკუთრებული წყურვილია თოფით ხელში გვერდით ამოუდგეთ მას... გაწვიმეთ ტყვია, შეამაგროთ ფრონტი დამხმარე ძალების მოსილამდე...

მაგრამ დაწყნარდით. არავითარი ომი არ არის. ტფილისში ხართ, სადაც პროლეტარიატი და მშობნელი მოსახლეობა დაკარწახებული მუშაობს უკლასო სოციალისტური საზოგადოების ასაგებად.

ეს ორატორი, რომელსაც თქვენ მოუსმინეთ, იმპერიალისტური ომის ინვალიდია, რომელსაც ბარიკადაში ყოფნისას თავ-

ში ყუმბარის ნატეხი მოხვდა, სიკვდილს გადარჩა, მაგრამ ჭკუა აღარ დარჩა. მოკლეთ ის გონებაო ინვალიდია. მას ხშირად ნახავთ ხოლმე ტფილისის ქუჩებში, ცეცხლოვან სიტყვებით რომ მოუწოდებს ყველას მტერთან ბრძოლისაკენ...

და ის ცხენი, რომელიც გდია მის ფეხთ ქვეშ და რომელიც თქვენში დიდ სიმპათიას იწვევს, არის არა წითელი მხედრის, არამედ ვიღაც „მედროგის“ და მოჰკლა ის არა ბურჟუაზიულმა ტყვიამ, არამედ ელექტრონის დენის დარტყმამ, და გდია არა დნებრის, ან ვოლგის ნაპირას, არამედ მტკვრის პირას, ვორონცოვის ხიდის თავთან, საცა ასფალტის ქარ-


ხანა გრიალებს, სადაც კინკველასავით ირევა სოციალიზმის მშენებელ მუშაკთა ლაშქარი.

აქ მოსულა იმპერიალისტური ომის ეს ინვალიდი, რომელსაც მკვდარი ცხენის დანახვაზე თვალწინ წარმოუდგა იმპერიალისტური ომში, მისი დაჭრის და მტერის შე მოსვეის სურათი და რაკი ჭკუაზე ნაკლებად არის; რაკი გონების „ვინტები“ აღარ ემორჩილება, დგას და მოუწოდებს ყველას ბრძოლისაკენ.

მას დრედნოუტებად წარმოუდგენია წისქვილები, ჩამწკრივებული რომ არიან მტკვრის პირად, ხოლო გარღვეულ ბარიკადაებად ვარანცოვის ხიდის მოა-


(გაგრძელება შემდეგ გვერდზე)

ნახ. კროტკოვის



კ. კროტკოვი

— როგორც სჩანს შეკეთებას უბირებ სახლს და მიტომ ათვალეგრებ! სახლის პატრონი:— რას ამბობ, მე იმას ვდარდობ, რომ ეს ოხერი ბებიასავით გამძლე გამოდგა, ამდენი ხანია ველოდები და ჩემს ჯინაზე მაინც არ ინგრევა.



# ქობულეთის სანატორიუმი

# ფარისკობა შაფუშკებით

(საჯიშასო)

„ალო... ალო... ჰო, მე ვარ, ქობულეთი, კურორტის სამმართველო, შენ ვინ ხარ, „ნარკომზრავია“. გაბრიელი, ბრძანდებით? რა იყო აფხანაკო გაბრიელი. გაიყვინეს, რომ ლეონიძისეულ სახლში წვიმა ჩამოსულა და ავადმყოფი „გაუგრილეს“ ბილა“? ლეონიძისეულში, რომ უთხრობენ, რომლისეულში არ ჩამოდიხი და მე რა ვუყო რაო? რა ბრძანე? შეეპყეთო? ახლა კი ილარ წვიმს. რაო, რას ამბობენ ბოროტი ერეო? დაგროვდეს „სარემონტო“ ბლომად, უფრო სარჯა იქნება დირექტორიზაო? მე რომ მაგისტრია აბლაღა ვყოფილყავა, ამდენხანს თავგრო მოვიტყნდი კესტს, მიი გულში რომ მჭონდეს მასაჟი. მე მაგას ვიტყვი და მტერს საბუთს მივცემ ხელში? იმ ავადმყოფის საქმე აფხანაკო, გაბრიელი, მოგვარებულა. ის გადავიყვანე ამავე კორაუსის მეორე ოთახში. სანამ გაყოფა ოთახები, თუ ასე ალბობიე წვიმასო, სხვა დღეებტებოც გაქვსო, რაი შავალითად? კვება არ მივარჯა? მათმა თავის გაქეთქამ, შინ უკეთესი ჰქონდეთ. არა, „პოფარი“ არ გივარჯა თურმეო, რომ ჩიკა, მა არაა მართალი. მართალია, უგემური და ერთი და იგივე კერძი კეთდება ყოველდღე, მარა „პოფარმა“ რა ჰქნას, თუ ხორჯს არ ამღვებს და საყოფად! ერთი თვის განმავლობაში ორი კიჭა რძე დახალევიეს და ოთხი კვერცხი მაჭამესო, რომ

უთქვამს იმ ავადმყოფს, იმას უთხარა, აფხანიკო, რომ ლოცე ოქტომბრის დღესასწაულები, თვარა ვერც იმას იგემებდი თქვა. ცუდათ ვკვებავდით თუ კარგად, აი ერთი წელიწადი ქე გავაჩინალე და ახლა ორ თვეს ქე იკალტება სანატორიუმი... რაო? სამკითხველო და წიგნთსაცავიო? მართალია გახეთბეს ეზოში ართმევენ ფოსტალიონს და იგი კითხულობს, ვინც უფრო ღონიერია და არც „კატალოგი“ გვაქვს და იგიც მართალია რომ ყოველდღე 160 კაცი გადახედავს. ამ მიზეზის გამო სულ დაქუქილია წიგნები, მარა ჩვენი სანატორიუმი ზომი ახალია, სულ ოაღაც 8—9 წლის ისტორია აქვს და ყველაფერი ელანქე ზომ ვერ ვაკეთებდა! კულტომუშავეც ახალა, სულ 3—4 თვეა, რაც მოიყვანეთ, ჯერჯერობით ბალაღაიკებს ეცნობა და შემდეგ უროზულად მოკიდებს ხელს. რაც შეეხება სკანდალებს, იმას ისე შემჩვივა ბაჭის პროლეტარიატმა, ისე ჩამოსრიალებს ზურგიდან მათი ლანძღვა-გინება, როგორც იხვის ზურგიდან კანკალა წყალი.

ასეა აფხანაკო გაბრიელი, ბოროტ ენებს ნუ დაუჯერებთ. ჩვენს სანატორიუმში ყველაფერი რიგზეა. მე სადაც ვყოფილყავ, ყველგან რიგზე და წესიერად ყოფალა ყველაფერი და რაღა შენს ხელში წაგზდები? მშვიდობით! ნახვამდის!

„დავკლომილი—სანუში“.

საჯიშასოს „წითელ“ სასადლოში პურმარილოთ სავსე მავდას შემოსხლომოდენეს: საჯიშასოს აფთიაქის „ამიკვერლი“ გამგე—გიორგი გეგიძე, სოფ. ვაჟ-სუბნის კოლმეურნი, — გიორგი რუხაძე, მისი ძმა — უშანგი რუხაძე და მათი ძმაბიკი — სევერიან კობალეიშვილი.

— კარგი კაცობაა საქირო ჩემო გეგიძე, თვარა სოფლახეს ყველა ქე ჩიედენს; ბიკო, შენ ოჯახტორე, სამი დღეა ჩაგ საოხრა აფთიაქი კარებზე გიცილი და წამალი არ მლორსე შეგ რუხვა ულგაში, მაგია შენი კარგი კაციბა? იმდონი ხალხს თუ არ გეცოდება, დაეტილო აფთიაქი წინ, რომ დამდგარა „ვეჩერედეში“ და ტყუილა აცლევინებ, შენს ძმაცეს მაინც რეიზა არ მაქცევს ყურადღებას! აქედან ქე წამოვალ წამალსათვის მარა ერთი კაცისათვის რომ წამალი შეგეცვალა, ისე არ მიყო და არ გამაფშეკო ფეხები, — ეუბნებოდა გიორგი რუხაძე თავისივე სესხას — გეგიძეს და სხარაზა გან ისე უჩანკალბდა ხელები, ნახევარი დღეწო მივიდაზე ექცეოდა.

— კი, კი მასეა შენ ნუ მომიკვდები! — ამ წყუბდა სევერიან კობალეიშვილი და ბრმ. კვავით ყლაპავდა ცხელ-ცხელ ღორის მწვადებს.

— კაცი. შენ რაღას დოუქარ კვერი სევერიანე, ჩაქს სიმტრუხე იჭერე? — წამოიჭრა გეგიძე და სხხხას მიუბრუნდა — შენ, ჩემო ბიძივე თლა გაფცქენი მთელა ეხსოუბანი: კობალეიშვილ აქსენტიესგან რომე ფჭვილი და სიმინდი მოიბარე შენ აუ იყვე იგი ვაუკაცი? კარაზე კობალეიშვილს, რომ გოჭი მოპარე, შენ არ იყავი რეი გიორგი? გასულ წილს, რომე 200 მანათი ამოაფცქენი ერის, შენ არ იყავი იგა რუხაძე? გეფერიძეს გოჭი, კულტაპის ქვაბები და რა ვიცი კილო რამდანი მოგითვალ ამფერი. ამ-ს შემდეგ გამოდნარ და და კილო მე მლანძღვა ხალხის გაწვალბიზა? შეგირჯა მართლა ბავდენიბი!

— რაც მართალია, მართალია, სწორეთ მასე იყო! — კვერს უქრავდა უშანგი რუხაძე.

— შენც გამოხვედი შუა კაცი, — დაეტაკა გიორგი რუხაძე თავის ძმას — უშანგის — ჩემზე რაგა ამოგლეხა ბოშო. ხმა, ძმა, ხარე ჩემო, მარა პერში გეტყვი: მიხაიე კობალეიშვილს და პესარონ კიწმარაშვილს შენ არ მოპარე ყურძენი გოდრებით?

— რაც მართალია მართალია, მასე იყო! — უბასუხა უშანგი: სევერიანე, ჯერ ყურს იყრუბდა, მაგრამ ბოლოს როგორც კი შეიკტე, რომ ხუმბრობა საქმეზე გადადიოდა, თავი მღღა აილო და ღვინთ სავსე კიჭა მოიბარჯა ხილში.

— კი, მასეა თქვენ ნუ მომიკვდები, მა რა ერთი-მეორეს არ უნდა წაეჩხუბროთ თქვე კაი კაცებო! სევერიან კობალეიშვილი ცოცხალი იყვეს, თვარა იმდენი გავლენა შე მაქვს, რომე საქმე არ წავიხთიეთ.

— წაეჩხუბო კი, არა ცხვირი უ პირი უნდა ჩოშტვრიო ამ ბიძამ თავ-ფეხს! — გაცხარდა გიორგი რუხაძე და აფთიაქის გამგეს ღომი მიატყლაა ზედ სახეზე.

— რავეც ვხვდავ მაგ, აღარ ხუმბრობს! მოგიკვდეს ბიკი გეგიძე თუ ჩამოგროს რამეში! — შეწყვირა აფთიაქის გამგე და მამფურს წამოავლო ხელ.

გიორგიმ და უშანგი რუხაძეებმა მას მიბადეს და შეიქნა ფარეკობა მამფურებით.

— კი, მასეა თქვენ ნუ მომიკვდებით. მარა გაშველინა საქირო, ხალხნო! — უმსხბა სევერიანმა და მოფარეკებს შოაში ჩაუფარა...

ჯირი, რომელიც, თუ შეგიხედავთ ამ ბოლო ხანებში, მართლაც გარღვეულ ბარიკადებს წააგავს. რამდენ ნაბიჯს გადადგამთ, იმდენი გამორღვეული ცარიელი ადგილი შეგხვდებათ (ისე, რომ დიდი სიფრთხილე გინდათ მდინარეში, რომ არ გადაგაგდონ შენს უკან ან შენს პირისპირ მიმავალმა მოქალაქეებმა, რომელთაც ტფილისში გვირდის გაკერა ჩვეულებად აქვთ გადაქცეული.

ამ გიჟს უსმენს დიდ ძალი ჩქვიანი ხალხი. არავენ მიხვდება მოაშოროს ის ამ ადგილს... ან მიიღოს ზომები ამ ცენტრალურ ადგილიდან მკვდარი (ქენის ასაღეზად.

ცხენი კი გდია. გადის დღე ერთი... ორი... ხუთი... ათი... გაზეთები გაჰყვირან: „გადავაქციოთ ტფილისი ტფილისის პროლეტარიატის შესაფერ ქალაქად“, „ტფილისი სისუფთავის მხრივ უნდა გახდეს სანიმუშო ქალაქად მთელს საბჭოთა კავშირში“.

ცხენი კი გაიხრწნა უკვე. მას მიწაც კი არ აყრია. ძაღლებმა კუდი უკვე მოაგლიჯეს და დიდი

ბრძოლა აქვთ კანკების ასათვისებლად. ნაწლავებზედაც მიიტანეს იერიშები. სოციალიზმის მშენებელი მუშაკები, ზოგი ავტოოი. ზოგი ეტლით, ზოგი ჩქვიითათ, ყოველდღე ჩაუვლიან ამ აყროლებულ მძორს და ცხვირზე ოითების მიჭერით გამოსთქვამენ პრიტესტს.

15 დღე გავიდა. ეხლა არ ვიცი რა მდგომარეობაა. ამბობენ ცხენი აიღესო. არ მჯერა... მაგრამ თუნდაც რომ ეს მართალი იყოს, ეს ფელეტონი დაგვიანებულა, მაგრამ მაინც დროულია, რადგან ცხენი კიდევ მოკვდება ამ ინდუსტრიალურ ქალაქში.

ჩვენი სიტყვა რომ ცარიელ სიტყვად არ დარჩეს, ტფილისის საბჭოს მუშაკებს უნდა ვუთხარაო: „ტფილისი, ამიერ - კავკასიის წითელი დედა-ქალაქი, რომ მართლაც გახდეს ტფილისის პროლეტარიატის შესაფერ ქალაქად. საჭიროა შესაფერი ადამიანებიც ხელმძღვანელობდენ ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს.

სამეირ-გან-შიხ.

# ნიანგკორი კახეთში

## ბორგინოსანი

გურჯაანი (საკუთ. კორესბ.)  
დღეს ჩველი გურჯაანში. საღვუ-  
რის ბუფეტში იაეთი ანტისანიტა-  
რიაა, რომ ვამჯობინე სასადილოში  
წასვლა. მიუხედავად იმისა, რომ  
უკეთესი მდგომარეობა არც იქ და-  
მხვდა, მაინც გადავწყვიტე — საჭ-  
მელი მუჭამა. ის იყო კერძი მოვიო-  
ხოვე, რომ:

უცბად გაისმა ყვირილი—  
ღვინო მოიტათ ჩქარაო.  
მას უბააუხეს—ნისიად  
რაცა წაიღე, კმარაო.  
დოღენჯაშვილი გავფუხვდა,  
„ტორგისინის“ დირექტორია),  
აღარ დააკლო მსახურსა  
წიხლი, მუშტი და ტორია.

ამ სცენის შემდეგ შიშისაგან იყო  
თუ მსახურის აიბრალულისაგან. ჭა-  
მის მადა დაშეკარგა და მეც რომ  
არ მწვეოდა შალვას (მსახური) ბე-  
ლი, გამოვიპარე სასადილოდან.

## სამოკრთველოსანი

სოფ. შაშინი. პირველად უჯრე-  
დში დავაპირე შევლა, მაგრამ მდი-  
ვანს არ ეცალა.

—კოოპერატივში შევივლი და  
შემდეგ გამოვივლი აქ—გავიფიქ-  
რე და კოოპერატივში შევედი. თვა-  
ლებს ვერ დავუჯერე, როცა იგივე  
პიროვნება დაშვდა.

—რა შემართება.—შემეშინდა და  
თვალეებში ხელი ამოვიავი, მაგრამ  
აქაც სწორედ ის პიროვნება იჯდა,

რომელიც უჯრედში.  
—ჯერ აღმასკომში შევივლი,  
მანახლე გავისეირნებ, გონება დამი-  
ბრუნდება!—გავიფიქრე და აღმას-  
კომისკენ გავუღდექი გზას.

შევედი, მაგრამ, ოი საოტრებავე!  
ისევ ის პიროვნება.  
ბოდიშს ვინღი, ამხანაგო, მაგრამ  
კარგად ვერა ვარ. მეონი ჭკუიდან  
ვიშლები. ადამიანის სახეები ამე-  
რია, უჯრედში ვიყავ, შემდეგ —  
კოოპერატივში, ახლა აქ ვარ... ყვე-



ლგან თქვენ გხედავთ: უამცველად  
რალაც მომღის.

—ნუ გეშინიანთ, სახეების არა-  
ვითარი არევა არ არის. ყველგან მე  
ვარ იქაც, აქაც და კიდევ იქაც.

დავრწმუნდი რა მისი სიტყვების  
სიმართლეში, დამშვიდებული გა-  
მოვედი გარედ.

გზაში ორ სოფელს დავეწიე.  
ლაპარაკი ჰქონათ:

რომ საყვედურობ, რას  
საყვედურობ? რა ჰქნას ყბა  
მეტი ერთმა კაცმა? ხუტის  
შვილი კი არა, დეკანოზისა და  
ეფისკოპოსის შვილიც ვერ გაწვდე  
ბა ამდენ თანამდებობას. **ალი-გემ**

## ხერილი პაპოს კოჯორი

—გამარჯობა აკაკი, როგორ ხარ. რაო?  
გახეთი „კოლექტივიზაცია“ არ გასვენებს?  
ეგ არაფერიია ვინ რა უნდა გქნას, რალაც  
სამასი მაინეთის დეფიციტური საქონელს  
„გაიმასქნებისათვ ს“?  
სასადილოს გამგეტ შევსივლი ზაქრო  
გორდელაძე დანიშნაო — ისეც არაფერია,  
ხვა რომ დავენიშნა შენთვის რა სარგებე-

ლი იყო! ის კარგად გუწნია გიორგაიასათვის  
რომ 1500 მანეთი მ-გიცია ერთი თვის სა-  
მუშაო „ხელდასად“, ასე უნდა! „მოზილი-  
ზაციით“ მომარგებულ მოანგარიშეა გულთ  
არ უნდა დასწყვიტო!

აკაკი, ეცადე წყველ სამტრესტიდან ღვი-  
ნო და არაყი არ იყოლო, თორემ გამოარკვე  
ვა, თუ რა არის „შენს“ სასადილოში ბრუ-  
ნვა!

აკაკი, მგონა „მოზილიზაციით“ ავტალაში

ყოფილხარ გადაყვანილი და შენ იცი, რო-  
გორ „გაალრმავებ“ იქ მუშაობას. კვირაშა,  
ორ-სამ დღეს უპუროდ დატოვებ ალბად  
ავტალის მუშა-მოსამსახურეებს ჩვეოოობისა-  
მებრ! ამაზე ვინ რას გეტყვის! ტყველა კი  
არ აძბიან შენზე: „აკაკია დამჯერელი, ცხ-  
რა კვარტის გადამკვერელი“.

ასე ჩემო აკაკო, წერილს კიდევ მოგწერ.  
ჯერჯერობით ნახვამდის!

შენი ძმა „ოქროყანელი ბზიკი“.

ბრიოლა ისილიტ-არ პრის სასახლო ბრიოლა

ნაინგები არ ცხოვრობენ საბჭოთა შრომარტებში. საბჭოთა კავშირის ჩეხოვრებო...

ის პოპულარობა ნაინგს შეუქმნა საბჭოთა სატორალომ უფრანლომ „პროკოდიოლმა“...

„პროკოდიოლი“ პოპულარობის უქმნის მისი ტალანტი, რომელიც ბოლშევიკურად აქვს მომარტვებული...

„პროკოდიოლი“ ენაბრაება საბჭოთა დღის ყოველ ჰორვანსს... ფტრცულე შეიღებინებს...

მარგამ, არა სახეები წითლად ჩანს-ვის ფგებს თავის ჩანაფზე და სახაფთოთა თუ არა მისი კტენა?

ნეკირ „პროკოდიოლი“ აქვს ნაელიც და საქორაო ნასზე მოითობა...

მე-30 ნომერში „პროკოდიოლი“ გადაბეკდა „პრაიდლანს“ უტყრინისკების კარკატუბს...

„პროკოდიოლი“ რომ მოეწყობი დისუტუს საბორის შესახებ და ეს კარკატუბსა წარმოადგინა...

მე-30 მაგარამ-ბეყოლა ერთი -ეს შეუთვებოლო... ჩენი შვიის პარობები და...

„იხის საუკეთესო დასამტკიცებლად, თუ როგორი სარგებლობა მოაქვს სატორას, წარმოადგენს ის დადგინდებებს...“

„ლიტერატურის სუფელა „მეკლევიგებ“ ატუ: „ლიტერა“ შერცხენილი არიან... „პროკოდიოლი“ სწორად აღნიშნა მათი ის თვი...

მარგამ იი სწორედ ეს კონკრეტულობა და საქინაობა აკლია „პროკოდიოლი“...

რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში საქმოდ უტბილო არსება? იმიტომ...

ჩენი მე-11 წელა სისტემატორად გამოდის საბურული უფრანლო. წელს ათი წლის იფუ და გაბოლად „ნაინგმა“...

გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ „ზარა ვისტოკა“ (სალამის გამოცემა) რომლის მოთხოვნებს...

რომ „პროკოდიოლი“ არ აღმოაჩინა თავისი მებრძოლი აქტივი ტრანსპორტზე და მან, ჩანს...

მარგამ ხშირად ვერც ადვილზე ვასკლა იძლევა კონკრეტულ და ნაშედილ სატორას, თუ ეს ვასკლა წინდა ფორმალურ...

„ბეჯითი ბიჯია ვასა, ხუთმეტჯირ მიწვი შეიბენს საათის შესახედად, რომ როგორმე არ გაათავფის სამუშაოდ...“

მე-12 კონკრეტულობა „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...

მე-12 კონკრეტულობა „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...

„პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...

სათეს და რომ სწორედ ბეთ უნდა მიშართოს თავისი ჩანაფუ და დაუნობლოლად გამოაგროს ნაინგა...

მან პარედელ ბეგუნზე მოითავის ვრამაფონის შვიდი დღე ფორფიტა, რომლის შუა წიფელ წრეში გამოყავილია „სასტ. კ.ა. (ბ)“...

„ფირფიტა, რომლის გამოვლენა და მოხმენის ურტევიტი ყრამფონისა და ფირფიტების ტრეტსს...“

მარგამ განა ზოგევითო ჩენი ორგანზაციის უბედურება იმამა რომ იმინი „არ უქმნენ“...

„პროკოდიოლი“ კტნის პროლეტარიატის კლასობრ მტკრებს საბჭოთა კავშირის ვარდაც...

მე-12 კონკრეტულობა „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...

მე-12 კონკრეტულობა „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...

„პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...

„პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...

„პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...

„პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...

„პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...

„პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...

„პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...

„პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...

„პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...

„პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...

„პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში... რატომ „პროკოდიოლი“ აღნიშნა ასეთ შემთხვევაში...



# დაავადებული პროტესტი

# „შეგაკეთებელი“

ნა. ღონის

ჩვენმა თანამშრომელმა მოახერხა ნაშუალამევეს შეპარულიყო, რკ გზის სახელოსნოსა და დეპოში და მოესმინა დაავადებული ორთქლმავლებისა და ვაგონების თათბირი.

**თავმ. ორთქლმავალი:** — ამხანაგებო, თუ ასე გაგრძელდა მდგომარეობა, ახლო ხანში ბევრი ჩვენგანი საიჭიოში ამოყოფს თავს და სამუდამოდ გამოვევხოვებით საყვარელ მოგზაურობას თვალუწვდენ საბჭოთა კავშირში.

**ხმები:** — არაფრად არ ვარგა ჩვენი მკურნალობა.

**თავმ. ორთქლ.** — ყოველ შემთხვევაში ვერ არის კარგი.

**საბ. ვაგონი:** — ათი დღე აქ ვვლივარ, ღერძი მაქვს დაზიანებული და არ იქნა მისი შეკეთება.

**სამგ. ვაგ.** — შენ ჩემი იკითხე, მუხრუჭი დამიზიანდა, ორი საათის საქმეა და ორი დღეა კი აქ ვვლივარ.

**ორთქლმ.** — ამხანაგო ვაგონებო, ჩვენი მდგომარეობა თქვენს მდგომარეობაზე უარესია. აი, მაგალითად, მე ხაშურელი ვარ. სულ ადვილად შეიძლებოდა ჩემი მორჩენა ხაშურში, მაგრამ რატომღაც აქ მიკრეს თავი.

**საბ. ვაგონი:** — შენ ხაშურზე ლაპარაკობ, და მე კი ბაქოდან ჯერ ერევანში გამაგზავნეს, მერმე ტფილისში. არ იფიქროდ თითქოს დიდი უბედურება მჭირდეს, ცალი გვერდი მაქვს ერთ ალაგას შემტვრეული, ორიოდ ფიცარი მეყოფოდა, მაგრამ აგერ თითქმის ერთი თვე გადის და ასე მატარებენ ადგილიდან ადგილზე.

**მეორე საბარგო:** — მოსკოვიდან საწერი ქალაქი ჩამოვიტანე, სულ საფე ვიყავ, რამდენიმე



— მესუთეჯერ შეგაკეთეთ და კიდევ გაფუჭდი? დაიკარგე აქედან, შენ გეტყობა სიმულიანტობ, სიარული ვეზარება!

ტონა იყო. ერთი ბორბალი დამიზიანდა. მას შემდეგ თვეზე მეტია. ჩემს შესახებ რომ მიმოწერა გაიმართა, მგონი ჩემი ჩამოტანილი ქალაქი არ ეყოფა. არ ვარგა, ანე, ამხანაგებო.

**თავ-რე:** — ამხანაგებო, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ა.-კ. სამმართველოდან, რომ საკავშირო მთავრობის დადგენილება ტრანსპორ-

ტის შეახებ დაუყოვნებლივ გატარებული იქნეს ცხოვრებაში.

**ხმები:** — მოვითხოვოთ, მაგარამ...

**თავ-რე:** — არავითარი უიმედო და იჭვი. ამხანაგებო, ჩვენი პოლიტ - სამმართველო ბოლოს მოუღებს რკ. გზ. არსებულ ბიუროკრატიზმს.

კირი.

# ნიანგოკორი სამტრედიაში

## მაუსალეზი ქარხანა

ქარხანა გაგვიდიდგულდა,  
დირექტორით და სპეცებით  
(მის გაშუქებას მთლიანად  
შემდეგ წერილში ვეცდებით).  
„—ძაფს ვიღებთ, წუნსა არ  
ვაძლევთ,



გეგმას ვასრულებთ წყობილად,  
და მაინც ტული მოპყრობა,  
ლოდივით გადაწოლილა.“

## ხმალარი და მისი ცხენი

ამბობს აქვსენტი ბოხუა:  
არა ვარ ისე ბრიყვიო,  
ორჯერ გამწერა, დადუმდა  
ისევ ქაგნელი ბზიკიო.  
ფოსტას განვაგებ გემოზე;  
ვინა დამაკლებს რამესო.  
არ ვაპატიებებ არავის,  
წერაში სითამამესო.  
ქველი თუ აღარ მივარგა,



ან ტელეგრაფი, ან სხვაო,—  
ჩემი საქმეა.—წერილებს  
ჩემს თვალწინ უნდა გახსნაო.  
გაზეთებს გიჩქ არ ლებულობს,


თავში იხალოს მან ქეო.—  
ასე სთქვა ბიჭმა აქვსენტიმ  
და სიბნელეში გაქრაო.

## ჩვენი ბაზრის იდილია

აღმასკომს თვალი მოვკარი  
მტრედევით განა—ლიყო  
და ქარიშხალიან წვიმის დროს  
მღეროდა—„ჩემი სულიკოს“.  
ბაზარი, ტბათა ქცეული,  
მიქონდა ნაოვექს წვიმისას.  
მსხვერპლნი ვართ უპატრონობის  
სიბინძურის და წვირისა.

## ვერ ველავით

სასადილოვებს ვინა ფლობს  
ვინ არის მათი პატრონი?  
ძველი ვაჭრები—ახალით  
შენაწებ—გადანადნობი.  
ფასებსა ვინა უმატებს,  
ვინა გვხდის მგლოვიარელა.  
ისევ ისინი, ჯიბისკენ  
ხელი რომ მიაჭეთ გარედან



წყალსა ღვინოთა ვინა ქმნის,  
ვინ უკლებს თანხას სიაში?—  
ისევ ისინი—ეს ხდება  
დალოცვილ სამტრედიაში.

## მიხედეთ

ბურაბისა ქარხანა  
უკან მიდის ამ ხანად,  
და მის თავზე მრავალჯერ  
მტერმა გადინარხარა.  
რაც რომ ტანზე აცვია  
ნელა-ნელა აცლიან.  
საწყალს ბედმა არგუნა  
მუდამ კომბინაცია.  
ჯერჯერობით ქარხანამ  
სიკეთე ვერ გვახარა.  
ვინც მოვიდა, წავიდა—  
ძირი გამოუთხარა.

## ზავნელი ბზიკი.

# შეკითხვა

ტფალისიდას საჯავახოს  
რომ ჩავეყვით დილით,  
უძილობით, ფეხზე დგომით  
სული დაგვაქვამ კბილიო,  
წინ მეეტლე შეგვეგება—  
ჩხიკვაძეა გვარად,  
—„სად მიხვალო,—ასე გვითხრა  
გულის ვახახარად:  
—„თუ წამოხვალთ ჩოხატაურს—  
ეტლს მოგართმევთ ნაზად,  
თუ არა და აქ დარჩებით,  
დაგიჯდებით ფასად,  
თუმცა ერთდროს აქეთ ავტო  
მუშობდა სამი,—  
ახლა ერთივე აღარ არის  
ფეხის ჩასადგამი“.  
ამ დროს გზიდან საყვირის ხმა  
გავიგონეთ ფრთხილა,  
მეტლენი გაფერქრთალდენ  
და დაეფრახათ ძილი.  
მანქანა თუმც ჩამოვიდა,  
ბენზინი არ ყოფნის,  
შინაც კოტა მოშვევია,  
—გაშეება „პრობნი“.  
ესა სთქვა და განზე გადა  
მემანქანე ცივად,  
მეტლენებს გაუხარდათ,  
მგზავოებს გააცივათ.  
—ხომ გითხარით,—რისით ამბობს  
კვლავ მეეტლე პლატონ.—  
წელან ორმოცა ვინც ძვირობდა,  
სამოცი იხალონ.  
თუ გსურთ ამ ფასში წამოხვალა,  
წამობრძანდით მალე,  
არ და შევიდი მგზავრი ქე მყავს,  
ხელავით—გავემგზავრე!  
ესა სთქვა და მზიარულად  
ათამაშდა კნუტი  
ეტლი ზომით ხუთს ვერ იტევს,  
ჩაჯდა სამჯერ ხუთა.  
რა მეეტლემ მგზავრთა ფული  
დაირჩინა მარტო,  
შოფერებმაც ამის შემდეგ  
„მოარჩინეს“ ავტო.  
ეხლა უკვე ავტოც დასძირეს  
ბენზინაც აქვთ „ვინტიც“.  
სულ „ყოფის დღეს გაგაცილიან“  
თუ დასძირით კრინტი.  
„ტრანსკავშრო“! შენ მოგმართავთ,  
შეკითხვით, არ მოფერებთ:—  
ოინბაზად, აფერისტად  
აქ რად იქვენ შოფერები?

განსიკა.

## სოფ. გუზათი

(აბაშის რაიონი)

სოფელ გუზათის ქოხსამეთხველო  
გაშლილ ველზეა წამოპიბული,  
მაგრამ მცხოვრებლებს—მის შემბედეგარენ  
შიგ შესვლის უმაღ უსკდებათ გული.  
ჩამოდის წვიმა, ღია კარები—  
ღებულობს პირუტყვს მთელი გუზათის,  
ნძებს გლეხობა და კვალი არ სჩანს  
გამოწერილი უურნალ-გაზეთის.  
არ სჩანს თვით გამგეც, და თუ გინდ სჩან-  
დეს,  
მდგომარეობა უხერხულია,  
ნიანგო შეგთხოვთ, ჩვენ ნამდვილ შევილს  
შენი სიკეთე ყველას წყურბა..

3. თვერელი.

# ნიანგის საბაბიძო

## სოფ. შუა-გუბი

(ხონის რაიონი)

კოლექტივის თავმჯდომარე მორის ოხო - ხოიას,



და სახლისკეა ძიაცოცებს  
სიშინდსა და სოიას.

შრომა-ღლესაც ზედმეტს იწერს  
არხეინად დაღის,  
უყვარს ლხინი სხვების ხარჯზე  
შავი ღვინო, მწუადი!

## ხარაგოული

პურის წერტის გამგე  
ღუქანს ხშირად კეტავს,  
და თან გაიძახის:  
ვინ რას გამიბედავს?"



ხშირად აუღო  
ჩუბად ჰყიდის იგა  
პურის წერტთან მუღად  
არის გრძელი რიგი!

## ნატანები

„ნატანების სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ქალაქზე ხელის მოწერაში გლეხებს ახდევინებს თითო მანეთს.“

მარლმ.

საბჭოს თავმჯდომარე არ გიგონოთ ბეცი,  
თანხის შესაკრებად  
შიშოილო „წესი“:  
„დააფასა“ ამით  
მან თავისი თავი,  
და ხალხს გაუჩინა  
მეტე აზრუნავი.



ხელის მოწერაში  
მანეთს ახდევინებს,  
(კაცს „გონება“ ნახეთ  
რას არ აქნევინებს).

აქ ფინმუშაკი ბიქტორ  
არა ნუნუას ხარბი,  
მან სახაზინო ფულებს  
უჭა ფარულად ყლაპი!

## სოფ. დაბლა-გომი

(სამტრედიის რაიონი)

„სოფ. დაბლა-გომის (სამტრედიის რაიონი) ა.ლ.ქ.ძ. საკოლმეურნეო უჯრედის მდივანმა ბ. ლორიაშვილმა გაფლანგა უჯრედის თანხები.“

მიიინო.

მოდი, ვნახოთ დაბლა გომის  
კოლექტივის მდივანი,  
(სახელია მისი ბიქტორ  
ხმა აქვს წვერილი, მყივანი!)



ვკითხოთ, ბიქტორ, ვინ შექამა  
უჯრედისა ფულები,  
ვის მოელის ამისათვის,  
მაგარი პანდურები!

## სენაკი

„სენაკის კოლ. თავმჯდომარე საქონელს არიცხავს და პროცენტს. ამ ღლეტში მან გირვანქა ნაეთი 1 მანეთად გააყიდივინა ნოქრებს.“

ცივისპირველი

კოოპერატივის  
მიზანი და წესი,  
ეტყობა, რომ მათენ  
ჩინებულად ესმის.



მიტომ გირვანქა ხავთ  
ის მანეთად ყიდის,  
რალა უჭირთ წვერებს  
მათეს გაღამეიდეს!

# მ ო ლ ი, ნ ა ხ ე!

## ოპროს მომვარული


მალაროს — კარის ექიმმა ლორ გინა ქაიძემ ერთ გლესს — თავის პაციენტს სასყიდელში ნიკოლოზის ფული მოთხოვა და კიდევ გამოართვა.

### ზოიკა.



### „გმირები“

ჩვენ აქ იმას მიტომ ვხატავთ, მიტომ ვაძლევთ ასეთ პოზას, რომ პატივს სცემს. იგი გულით ნიკოს დროს და ნიკოლოზას.



ვაჭვევის საბჭოთა მეურნეობის მზარეული ილია ედიბერიძე: (ზესტაფ. რაიონი): — ჩვენი მეურნეობის მომარაგების „დირექტორი“ ტ. აბაშიძე თუთხმეტ ივანისიდან სულ მივღობნებაში იმყოფება. ძალიან „ზრუნავს“ ჩვენზე!

ამას წინადად გამოგზავნა რაცხა პროდუქტები და შემოთვალა: „რაც კაი რამე იყოს, შალიკოს და ქაქიას მიეცით, დანარჩენი კი არ გასცეთ ჩემს ჩამოსვლამდით“... ის თუ ასე კარგად მუშაობს მე განა მაზე ნაკლებ საქმეს ვაკეთებ? დღეში ხუთ ქვავ მა რილ - წყალს ვხარშავ და სუპად ვასაღებ! პირდაპირ „პენკიაზე“ ვარ წასადგენი, მაგრამ ყურადღობას არავეინ მაქცევს!..

### იოვიათი „ბატკანი“

ველის - ციხის (გურჯაანის რაიონი) სასოფლო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს ქათამაძეს ბრაილდუბა მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი: მეჭრთამეობა, საკოლმე-



ურნეო ქონების განიავება, ყალბი მოწმობების გაცემა, კულაკების მფარველობა, რევოლუციურ კანონების დარღვევა და სხვ. გურჯაანის უბნის მოსამართლე ჩოჩიძე აჭიანურებს მის საქმის გარჩევას.

(ა.-კ. უმაღ. სახოფ. სამეურნ. სკ. ბრიგადის მახალიდან).  
ეს „ბატკანი“ ისეთია, — „ბატკანს“ არ გავს დანარჩენს ალბად მიტომ მოსამართლე იმის საქმეს არ არჩევს.

## სასწორი — უსწორ-მასწორი

თბილისში, პუშკინის ქუჩაზე № 13 საშაქარლამოს ნოქარი ელე ნა სილაგაძე საწონ გირების ნაცვლად მძივებს, ქვებს და სხვა ნივთებს ხმარობს და ამ ხერხით მომხმარებლები წონაში ტყუვდებიან.




იცნობდეთ! — ახალ გირების სტრუქტურის გამოგონია, „ტექნიკის დაუფლებაში“ არ ყავს ბადალი, მგონია!

### „გაიცანით“!

თბილისის პოლიტექნიკური შრომის პედტექნიკუმის მოწაფეთა სასურსათო საწყობის გამგე დავით აბაზაძე მოწაფეთა პურის და საერთოდ სურსათის ნორმებს ანიავებს და „ნაქაფი“ თკულით ხშირად კიდევ ლოთობს.

### ზუმკა.



აღნიშნულ მო ალაქის სურათი მოწაფეებმა საჩუქრად გამოუგზავნეს ჩვენ რედაქციას და ზედ ასეთი წარწერა გაუკეთეს: „გაიცანით ჩვენი გმირი — აბაზაძე დავითო, ჩვენი სურსათ-სანოვაგე ხულ მის გვამში ჩავიდაო.“

# ქ ე ჯ ა

მოლარის ოინები

გრაკალი რკინის - გზის სადგურის მოლარე გოჭარკიამ ხმებო გაავრცელა, რომ იგი ამიერიდან თავს ანებებს ბილეთებში ზედმეტის გადახდევინებას ხურდა ფულის „უქონლობის“ მომიხეშებით. გავრცელებული ხმების სინამდვილე არავის სჯერა.

**ქარაღაჯელი.**

## გვგვიანი მუშაობა

ქ. სენაკი. ქალაქის საწარმოო დაწესებულებათა პროფ. კავშირის თავმჯდომარემ — **შ. ლორიამ** სამუშაო საათები შემდეგნაირად გაანაწილა: დღის 12—8 საათამდე იგი „მუშაობს“ სარდაფებში, ხოლო შემდეგ ქუჩებში ახდენს ჩხუბსა და აყალ — მყალს. **ლორია** როცა დაითვრება ასე მღერის:

საწევრო ანარიცხები  
ჯიბეს საკმაოდ ბევრია,  
რა უშავს იგი დავხარჯო,—  
ვიმღერო „ჟამიერია“!

**გუღუ.**

## სამწუხარო მოვლენა

**სოფ. ვაჭვი,** (შორაშნის თემი) ადგ. სასადილოში საჭმლის ნაკლებობის გამო გარდაიცვალა რამოდენიმე ვირთავვა. გამგეს ვული დასწყვიტა ამ უბედურმა შემთხვევამ და თავი ობლად იგრძნო, რადგან სასადილოში სხვა. სულიერი არავინ დაღის.

**ჟამიერ.**

## ახალი მეთოდი

**ს. ჭოგნარი.** (ქუთ. რაიონი) ჭოგნარის ოთხწლედმა შემოიღო სწავლების ახალი „მეთოდი“. ვინაიდან სკოლის შენობა არ თბება და შიგ ცივა — მოწაფეებს ნაბრძანები აქვთ თან მოიტანონ საბნები, ვისაც ეს არ შეუძლია მან იცეკვოს და „იოლად გავიდეს“ ზამთრის გასვლამდე.

**სპრმო.**

# დაეკვრილი-გადაეკვრილები

(გომი, სამტრუდიის რაიონი)



შუხედეთ, როგორ მეტყველებს სურათი თავის-თავადა, (ლოთობის სენით ხომ ბევრი მღუშაკი არის ავადა!) გომის თენჯინაც უოფილახ „დაეკვრილი - გადაეკვრილები“, იონა, ლუკა, იოსებ,

ძმობილნი, ძველის-ძველები და თეოფანე ვაჭვაცი ჭამაში ნასახელები დაუღლეჯათ, გამძლარან და ჩხუბი აუტეხიათ, და ლუკა მდივანისათვის გოგრა სულ გაუტეხიათ!

## „ეკრეჟიმი“

თბილისის კომუნალურ აბანოს საერთო განყოფილებებში სიბნელეა, ან ზოგჯერ (აღბად სიბინძურის დასაფარავად) მხოლოდ 15 ჭანთლიანი ელნათურები ბუტბუტს.

**სიკო.**



ამ „მიღწევებზე“ რას იტყვიოთ აღმასკომელო გოგოა?! — ნუ თუ „დაზოგვა“ გგონია სიბნელის აბოლოგია?! —

## გოღოღრი

№ 5-ს (აბასთუმანი) ჩვენ სულაც არ გვიკვირს, რომ თქვენში აბასთუმანის ბუნებას პოეტურად აღმადრენა გამოუწვევია, მაგრამ გვიკვირს, რომ უწყინარ ხვლიკებს შეუშინებობართ მოაგარაკე ვაჭკაცი: ან რა დროს ხვლიკებია ამ შუაგულ ზამთარში? თქვენს ლექსში კი, სადაც აბასთუმანის ბუნებაა აწერილი, ამ სიცივისაგან „ისედაც დაჩაგრულ“ ქვეწარმავალთა შესახებ ასე იწერებთ: წყლის პირზე ქვებში, კლდეებში ბუდობს ხვლიკი და გველია, იმათი შიშით ავადმყოფს სიფათი გამოვლია.

დანარჩენ მასალას მოვიხმართ. არ გამოგვადგა შემდეგი მასალები: „ჩემი მადლობა“ — სამტრედიის (განყენებულია); „მშვენიერი საღამო“ — საგარეჯო (დაგვიანებულია); „ვინ არის დამნაშავე“ — „ძღვენი სოფლიდან“ — ქობულ. (წვრილმანია). გამოგზავნეთ სხვა მასალები.



1934 წლის თებერვლიდან

36 ნომერი  
წელიწადი

# ნიანბი

3 ნომერი  
თვე

<p>ნიანბმა თქვა: ორი ნომრით ველარ გავწვდი ყველასაო; ყოველ კუთხეს მებახიან და ითხოვებ შველასაო.</p>	<p>ავღიქვი და დავადგინე— თვეში სამი ნომერიო. ეს ამბავი რომ ეწყინოს, თქვენში არის რომელიო?</p>
--	---

ჩვენი ქვეყნის არც ერთი კუთხე არ უნდა დარჩეს, სადაც „ნიანბი“ არ მიდიოდეს.

ყოველმა კუთხემ უნდა ჰპოვოს თავისი გამარჯვებისა და ჭირვარამის ასახვა „ნიანბის“ ფურცლებზე.

„ნიანბს“ ყოველ კუთხეში ჰყავს თავისი კორესპონდენტი, ხოლო სადაც ახლა არა ჰყავს, იქ გაიჩენს.

იუმორი ჩვენში არის წითელ პრესის ერთი დარგი, ჩვენთვის ტუბილად გასაგონი, მსმენელათვის დიდი მარგი, კვლავცა ყველას იამებინს, ვინცა ისმენს კაცი ვარგი, გრძელსა სიტყვას მოკლედ ამბობს, „ნიანბია“ ამით კარგი.

მე ნიანბი ხელობითა ვიქმ საქმეა იუმორსა.

ნიანბკორი არა ჰქვია, ვინაც მოგვწერს ერთს ან ორსა, იმ „ერთ-ორში“ სამი ყაღბობს, არ გვწერს ამბავს მართალს, სწორსა, სწორიაო მინც ამბობს, ჯიუტობით ხჯობნის ჯორსა.

„ნიანბში“ თანამშრომლობენ საუკეთესო ძალები.

## ხელისმონერა მიიღება

ფოსტისა და „სოი უზაჰატის“ ყველა განყოფილებაში.

„ნიანბი“ ღირს: 1 თვით— 1 მან. 20 კ. 3 თვით— 3 მან. 60 კ. 6 თვით— 7 მან. 20 კ. 1 წლით— 14 მან. 40 კ.

ცალკე № 40 კაპ.

## გაუმეპლარი

ნახ. პარიაშის

„არგენტინაში 50.000 სული ცხვარი დაწვეს. გაზაფხულზე მოსალო-  
დნელია კიდევ 200,000 ცხვრის დაწვა“.



—შენ გენაცვალე, ჭამას უშატე, თორემ რა ვუყოთ იმდენ ცხვრებს.